

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газ. „Дროба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადებები:** შერეულ ქაღალტის, რუსულს, სომხურს და სხვას.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციის უფლება** აქვს გაას-წოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

**ხელის-მოწერა:** მთელისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

**ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის** ადრე-სი: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газетъ „Дроба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

**პირველი აპრილიდან** პირველ ივლი-სამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ., წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

**ხედავს** ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამო-გზავნილი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი, 16 (28) მარტს (\*).** დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კიდევ დარჩება ოსმალეთში და ამ სახელმწიფოსთან შეკრავს პირობას, რომ, თუ ეწინააღმდეგება რამი ატყდა, რუსეთმა და ოსმალეთმა ერთად იმოქმედონ მტრის წინააღმდეგ.

ტყუილია ის ამბავი, ვითომც ხონ-ქარმა დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკო-ლოზის ძეს რაღაც ორდენი უბოძაო.

**ლონდონი, 16 (28) მარტს.** რადგან ინგლისის მმართველობამ შემონახული ჯარი (რეზერვები) მოიხმო, ამის გამო ლორდ ლერბი გამოვიდა სამინისტრო-დან.

**პეტერბურლი, 16 (28) მარტს.** სანკტ-პეტერბურლის ობერ-პოლიციმეისტრის ბრძოლის მოკვლის განზრახვად საქ-მის გარჩევა 19 მარტისათვის არის და-ნიშნული.

**ლონდონი, 17 (29) მარტს.** ამბო-

\*) ქვემო-მოყვანილი ოთხი ტელეგრაფმა, გას-მულ ხაზად, 16-სა და 17 მარტს არიან გა-მოგზავნილი პეტერბურლიდან და ჩვენ კი მთე-ლისში მხოლოდ დღეს, 23 მარტს, მივიღეთ.

ბენ, რომ ღერბის მოადგილედ ინგ-ლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრ-ად ლორდ ლეიონს ანუ მარკიზ სალს-ბერის დანიშნავენო. (ზუსტად დღე-ზეშამ უკვე გვაცნობა, რომ მარკიზ სა-ლიბერი არის დანიშნული).

ზამოვიდა განკარგულება, რომ ბრი-ტანიის და ინდოეთის ყველა სამხედრო გემები დაუყოვნებლივ დაამზადონ სალაშ-ქროდ გასაგზავნ ჯარების გადასაყვანად.

აქაური გაზეთები ფიქრობენ, რომ ლორდ ღერბის სამინისტროდამ გამოცე-ლა და რეზერვის ჯარის გამოყვანა ნიშ-ნავს იმასაო, რომ ინგლისის მმართვე-ლობას განზრახვა აქვსო, რომ შესწყვი-ტოს რუსეთთან ყოველგვარი მოლაპა-რაკება, მოემზადოს საომრად და დაიჭი-როს ღარდნელის წყალი იმ ჰაზრით, რომ რუსებს შალიბოლის დაპყრობის ღონისძიება არ მისცესო.

ზაზეთს „Morning Post“-ს იმედი აქვს, რომ ამ გვარს ეფერებილი მოქმედება (პოლიტიკა) ინგლისისა ავსტრიის პოლი-ტიკასაც ჯეროვანს გზაზე დააყენებს (ე. ი. ინგლისის მიემხრობაო).

**პეტერბურლი, 23 მარტს.** რუსის ოფი-ციალური გაზ. „Agence Russe“ ამბობს, რომ ტყუილია ის ამბავი, ვითომც გრაფ იგნატიევი ვერაფერი ვერ გაარი-გა ვენაშიო. იგნატიევი იმისთვის იყო ვენაში გაგზავნილი, რომ მეგობრუ-ლად ახსნა, გაემარტებინა ავსტრიისათ-ვის სან-სტეფანოს მორიგების პირობაო, და ამნაირად მოესპო რუსეთსა და ავ-სტრიას შუა უკმაყოფილების მიზნაო. იმედი არის მშვიდობიანად საქმის გა-თავებისა.

**ვენა, 23 მარტს (3 აპრილს).** „Голос“-ის ტელეგრაფმა: შევლა აქაურა ოფიცი-ალური გაზეთები ამბობენ, რომ ავსტ-რია უეჭველად ინგლისს უნდა შეურ-თდეს და ორივემ ერთად უნდა იმოქმე-დოს რუსეთის წინააღმდეგაო.

ამ მოკლე ხანში ლენერალ იგნატი-ევის ისევ მოვლიან ვენაში.

**პეტერბურლი, 23 მარტს (3 აპრილს).** „Пе-тербург. Вѣдом.“-ში დაბეჭდილია შემ-დეგი დეპეშა ბერლინიდან: ბერლინის მოსწონს ავსტრიის მოქმედება ამ აღმო-საველეთის საქმეებში.

ღარწმუნებით ამბობენ აქ, რომ ინ-გლისსა და ავსტრიას ერთად მოქმედ-ების პირობა (კავშირი) აქვთ ერთმანეთ-ში შეკრულიო.

„Новое Время“-ს სწერენ: მარმარი-

ლოს ზღვაში მყოფს ინგლისის ფლოტს მუდამ ახალი სამხედრო ნომალდება და ჯარები ემატება.

**პეტერბურლის ბირჟა, 17 მარტს:**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

|                              |        |         |
|------------------------------|--------|---------|
|                              | მან.   | კაპ.    |
| ლონდონი — —                  | 23 1/2 | „       |
| პეტერბურლი — —               | 118,50 | „       |
| ჰამბურგი — —                 | 201    | „       |
| პარიჟი — —                   | 247    | „       |
| შინაგანი სესხის ბილეთები 5%: |        |         |
| პირველი სესხის — —           | 222    | „       |
| მეორე სესხის — —             | 218    | — 75    |
| ბანკის ბილეთები:             |        |         |
| პირველი გამოცემის —          | 96     | —       |
| მეორესი — — —                | 95     | — 2 1/2 |
| მესამესი — — —               | 95     | — 5     |
| მეოთხესი — — —               | 93     | — 12    |
| რუკრუ, 1/2 იმპერიალი —       | 9      | — 35    |

## საქართველო

დღიური

\* \* იარმუციდამ არხი გაჰყავთ მტკვარ-დინ. არხი იწყება სომხების სასულეირო სემინარიიდან (ყასბეიდგან) და ჩაერთ-ვის პირ-და-პირ მტკვარს. არხი კი გაჰ-ყავთ, მაგრამ წყალი სადა აქვთ, რომ წაიღოს მტკვარში ყველა ის ხაგავი და უშვინდურება, რომელსაც იმაში ჩაყარ-ან?

\* \* ბაცხარებით მიდის სოლოლაკზე მუშაობა ქუჩების ფანრების კაზათ განა-თებისათვის. სერგიევსა და ირაკლის ქუჩაზე თითქმის სულ გაყვანილია გაზის მილები და ფანრებიც გაკეთებულია; ჩვენ გვითხრეს, რომ ამ ორ-სამ კვირაში სოლოლაკის ხსენებულ ქუჩებს პირვე-ლად ელირებათ გაზით განათებაო.

\* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ რამოდენიმე დღის წინათ ბორჩალოში მიმა-ვალს დილიქის გზაზე ავაზაკი თათ-რები ფოჩტას დასცემიან; ჩაფარს ორი თათარი მოუკლავს და ფოჩტა თავისუფ-ლად წასულა; მაგრამ შემდეგ მოკლუ-ლი თათრების ამხანაგები დასდევნიან, ჩაფარი დაუჭრიათ და, როგორც გვითხ-რეს, ამ დაჭრილობისაგან ის კიდევ მომ-კვდარა. შოჩტა კი მაინც გამოქცეულა. საზოგადოთ ამბობენ, რომ ბორჩა-



ლოს თათრებში და შეულავრისაჲს ამ უკანასკელ დროს ხელ-ახლად განშორდა ავაზაკობა და ცარცვა-ქურდობა.

\* \* \* ზაქათალის მაზრის სოფ. ძახილამ გაზეთს „ივერიაში“ იწერებინა:

„ამ ჟამად ჩვენს უჩასტკაში, როგორც მთელ ზაქათალის მაზრაში გაცხარებული ბევრად გზის საკეთებელად, რადგანაც ლეკების აჯანყების გამო, აქედან გზებისთვის ევლარ იკლიდნენ და ცოტა არ იყოს გაფუჭდნენ. დილიდამ მოყოლებული კარგა საღამომდე აუარებელი ხალხი ჟუშობს გზებზე.“

„ძახის უჩასტკის გზის ბევრად იმით არის საყურადღებო, რომ ეს მიმდებარეობს მხოლოდ საწყლების თავზედ არა დევს. უჩასტკის უფროსის წყალობით და ბრძანებით, ეგრეთ წოდებული „პაჩოტ-ნებიც“ ძალაუფლებულად უნდა გამობრძანებულიყვნენ გზის სამუშაოზე, მაშინ როდესაც ამათ არასოდეს აქამომდე არ უკადრიათ ეს საქმე. ამითი მაინც მოიპოვეს სახსარი, თვისის თავის დახსნისათვის.“

„ამათ ჩააგონეს მამასახლისს, რომ თითო ათ კაც მუშაზედ დაეყენებინათ ერთი ზედამხედველი, რომ ყური უგდოს მუშაობას. წინდაუხედავმა მამასახლისმაც დაუჯერა და თვითო ათ კაც კაცულზედ დააყენა თვითო უფროსი, რომელსაც არც ურემი გამოჰქონდა, არც არა მუშაობას არ ეწეოდა, გულხელ-დ-კრებილი მხოლოდ ზედამხედველობდა. ახლა მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ ვინ დაინიშნებოდა ამ ათეულების უფროსი, რასაკვირველია, „პაჩოტნები.“ ახალგაზდებმა დროზედ შეატყობინეს და აუხსნეს უჩასტკის უფროსს, რომ ძახში 260 ინგილო არის; დაუყენებიათ თითო ათ კაცზე ერთი უფროსი და ამ გვარად 26 მუშა სცდება. მამასახ-

ლისები თავისის თანამეშვერებით აღგზირებით რაღას აკეთებენ? ბანა არ შეუძლიანო მამასახლისმა თავისის თანამეშვერებით ყური უგდოს როგორ აკეთებენ გზასო?

„უფროსმა დაინახა ამათის სიტყვების საფუძვლიანობა და უბრძანა, რომ თვითონ მამასახლისმა უგდოს ყური გზებზე მომუშავე ხალხს და ათეულების უფროსობაც მოისპოსო. მალე ეგ უფროსები აღარც არიან და უფრო კარგათ და მარად აკეთებენ გზებსა!“

\* \* \* რამდენიმე ახალი ამბავი ჩვენი მწიგნობრობის შესახებ:

— ჩვენ გავიგეთ, რომ გამოჩენილი სპარსული პოემა „შაჰნამე“, რომელიც თითქმის ყველა ევროპულ ენაზედ არის გადათარგმნილი, ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი, ძველად, მხოლოდ ამ სახელით კი არა, მთარგმნელს „როსტომიანი“ დაურქმევია. ამბობენ, ამ წიგნის თარგმანი ეკუთვნის ხოსრო ოთრმანიძესო, რომელიც მეფე მახტანგის დროს ცხოვრებდაო.

— ბეითბრეს, რომ უფ. ნ. ზამრეკელს გადაუთარგმნია მეორე ნაწილი „20 ნოემბრის 1864 წლის სამსახურლო წესდების“ მეორე ნაწილი და უკვე დასაბეჭდათ მიუცია. იმედი გვაქვს, რომ უფ. ზამრეკელი ამ მეორე წიგნის დაბეჭდვის დროს მიიღებს მხედველობაში იმ შენიშვნებს, ვნის შესახებ რომელიც იმის პირველი წიგნის თაბაზედ იყო ჩვენს გაზეთში წარმოთქმული.

— ზემო ხსენებულივე უფ. ნ. ზამრეკელსა და მისი ქართული პოემის სახელად „ალღუზიანს (თუ იალბუზიანს)“ რომელშიც ძველი ოსების და სხვა მთიულების ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებიაო.

— მართს მღვდელს შეუდგენია (რო-

გორც ამბობენ, ძლიერ კარგათ) ქართული „ხელთა“ და აბეჭდინებს.

— მართა ჩვენმა ნაცნობმა გიორგი, რომ იმას უნახავს ერთი მგელი ქართული ხელით ნაწერი წიგნი, რომლიდანაც სჩანსო, რომ ერთს დროს ქართულს ენაზედაც ნათარგმნი ყოფილან ბერძნის გამოჩენილი მწერლის ჰეროდოტეს და რომის—ტურცის თხზულებანიო, რომელთაც ხსენებაც აღარ არის ახლა ჩვენს ლიტერატურაში.

## „დროშის“ კორექტორი

სურამი, 20 მარტს. პოველი კეთილი საქმე, ყოველი პატიოსანი და ჩინებული დასაწყისი შეიძლება გაიკრუნეს, გაფუჭდეს უპატიოსნო, ბოროტ ადამიანის ხელში!

შინ არ იტყვის, რომ ამ ათის წლის წინათ შემოღებული ახალი სამოსამართლო წესები უწინდელს წესებზე უკეთესი არ იყეს. მაგრამ აღმოჩნდნენ ჩვენში ისეთი პირები, რომელთაც კანონი უკუღმა დააბრუნეს, რომელნიც თავის კერძო სარგებლობისათვის იმსახურებენ ამ კანონს და ამის გამო ხალხმა, ამ ცუდი აღმასრულებლების, ამ ბოროტ პირების წყალობით, თვით კანონი, თვით ახალ სამართლო წესებს განზე, უკმაყოფილოდ ყურება დაუწყო.

შველა ეს მომადგონა მე ერთმა გარემოებამ, რომელზედაც ჩვენს მაზრაში ახლა ბევრს ლაპარაკობენ და რომელზედაც მეც მინდა, უფ. რედაქტორო, ორიოდ იტყვა მოგახსენოთ. საქმე აი რასში მდგომარეობს:

ჩვენი სურამის სამოსამართლო უწყებაში ორი ადვოკატი მოქმედებენ აგერ რამდენიმე წელიწადია. მართი ამათგანი გახლავთ უფ. ზ. შ—ი, სამსახურიდამ გამოგდებული ქრთამისათვის, რამდენი-

## ფელტონი

შბრალო ხარჯი \*)

(წერილი ძიზიყიდა)

რაც ამ ძიზიყში დღეობები იციან ხოლმე სოფლებმა და ამ დღეობების გამო ტყუილ-უბრალოდ ხარჯის მიყენება, ყველა რომ დაწერილებით გაიგოს უცხო კაცმა, სწორეთ განცდიფრდება. რომელი სოფელი და რომელი ლატაკი, გაჭირებული, „წყალ-წაღებული“ გლეხი გნებავსთ აიღეთ, წელიწადში ორი,

\*) ჩვენ არ ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს ამ შენიშვნის საზოგადო მაზრაში, რადგან გვგონია, რომ წლითი-წლობადი წელში გაწვევით, ყველასაგან დაჩაგრულ ჩვენ გლეხს ყოველი მხრით უფლება აქვს, რომ წელიწადში ერთი-ორი დღე მაინც თავისებურად, ქეფიანად გაატაროს. ამას გარდა ამ დღეობებში ინატება ცოტაც არის ნაციონალური ხასიათი... მეტყველთ ამ შენიშვნას იმიტომ, რომ ეს ბევრი სხვა მხრითაც საინტერესო შენიშვნაა.

ან ერთი მაინც უთუოდ, დღეობა არ ჰქონდეთ!

მს დღეობა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ერთ დანიშნულ დღეს უნდა გამართონ სადილი, წვეულება, მოიპატოვნონ ყველანი, ვინც კი ისურვებს, მტერი, მოყვარე, ნათესავი, მეგობარი, თაყსიანი, უცხო, გამოაბრუნონ ღვინით და საღამოზედ, ან მეორე დღეს დაითხოვონ.

არ გეგონოსო, რომ ნება-ყოფლობით იყვეს ეს დღეობა. ასე თუ კი იყვეს, მქონდეს ღვინის წყალობა, მალე ისინი თავს გაანებებენ. მითქო ძალასაც არავინ ატანს, სარგებლობას, რატომ უნდა, გერაფრისაგან ვერაფერს ჰხედვენ, ხარჯი და გაჭირება—დიდი, მაგრამ მაინც ეს დალოცვილი ისე მაგრათ, შეურყეველად, მტკიცედ დგას ძიზიყელებში, რომ ნება-უნებურად ასრულებენ და ის ოჯახი, რომელიც გადაუდგება ამ ჩვეულებას, მიაჩნიათ მცირე ოჯახათ, თუნდაც ის იყვეს აშენებული, შეძლებული და ყოველთვის, როცა შემთხვევა მიეცემათ, „შენ თუ ოჯახი გქონდეს, კაცი იყვე

მეჯერ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის სისხლის სამართალში მიცემული, და უფ. ი. შ—ი—ზემოხსენებულის შესაფერი მეგობარი და ამხანაგი, კარგათ დახელოვნებული ადვოკატი ყოველგვარ გაიმგერულ საქმეებში, კაცი, რომელსაც ერთ დროს, სამწუხაროთ, რაღაც დამოკიდებულება ჰქონია ქართულს ლიტერატურასთან.

ამ ორი ადვოკატისაგან ეს ჩვენი მაზრა სრულიად აკლებულია; რამდენი საქმე, საქმე სისხლას სამართლისა ამთ წყალობით, ამთ ოჩნობით არის ჩვენში ატეხილი რამდენი გლეხი, რამდენი ლატაკი ამთ დაჰლუპეს, ვინ მოსთელის.

მოგიყვანთ ერთ მაგალითს ამთ ადვოკატურის მოქმედებისას, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდა:

და ოჯახის-შვილი გერქვას, დღეობაც გექნება, შეილოსაო? წასძახებენ ხოლმე.

ამისათვის ყოველივე მღვდელი, თავად-აზრაური, გლეხი, მდიდარ-ღარიბი, ბედნიერ-უბედური, მგლოვიარე - მხი-



თ. პ. ა — ძესა და კნა თ. მ — რას ჰქონდათ რალაც პროცესი მამულის თაობაზე. მართა ამ ჩინებულ ადვოკატთაგანს ბ. პ — ს მინდობილი ჰქონდა კნა თ. მ — ის მხრით საქმის წაყვანა, და, ამბობენ, ეს პროცესი მოიგო. მაგრამ საქმე იმაში ზოდი მდგომარეობს. საქმე იმაშია, რომ ამ ადვოკატებმა ყალბი აღმასრულებელი ფურცელი (ისპოლნიტელნი ლი ტი), ვითომ კნა თ — საგან ხელმოწერილი, დაამტკიცებინეს ეს ფურცელი ხაშურის მამასახლისის და მოსამართლეების, მივიდნენ და, უპოვესტკოთ, შეუტყობინებელად და პატრონის-დაუსწრებელად გაჰყიდეს თ. პ. ა — ძის მამული ოთხმოც მანეთად, მამული, რომელიც უკანასკნელი 2,000 მანეთად ღირს. ამის თაობაზე ამ ჟამად საქმე სწარმოებს სასხლის-სამართლის წესით. ამბობენ, ცხადია დამტკიცდება, რომ ხსენებულ ადვოკატებს ყალბი აღმასრულებელი ფურცელი შეუდგენიათ, მაუტყუილებით უფ. რ — ოვი, მოუტყუილებით ხაშურის მამასახლისი და მოსამართლეები, რომელნიც ახლა ამტკიცებენ, რომ კნა თ. მ — სა ჩვენ თვალითაც არ გვინახავს, იმას ჩვენთან ხელი არ მოუწერიაო და სხვ. და სხვ. ამბობენ, რომ კნა თ. მ — სას აშინებენ ეს გამოცდილი ადვოკატები, რომ თქვით, რომ თქვენ მიიღეთ ჩვენგან ის ფურცელი და თქვენის ნება-რთვით მოვაწერეთ ხელიო, თორემ თქვენც გაერევით ამ საქმეში და სულში თრევა მოგზიდებათო...

თუ ასე გააჩარხეს საქმე, უეჭველია, ჩაფუშდნენ ამ ბოროტ-მოკმედებასაც და, ჩვენი მაზრის სამწესხროთ, ერთხელ კი-

დღე გადარჩებიან ესენი კანონიერ დასჯას. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ გამოძიება მკაცრად მოჰყიდებს ამ საქმეს ხელსა და სამუდამოთ დაგვისნის ამ პირებისადგან.

სურამელი

## ოლის აზრები

### ოლის უამდეა

დღეს მეექვსე დღეა, რაც თუილისში რუსეთისა და უცხო ქვეყნის ფოჩტა არ მოსულა; ამიტომაც დღევანდელს ჩვენს გაზეთში მხოლოდ ორიოდე ამბავს ნახავთ, მაგრამ ისიც ახალ ამბების რიცხვში ჩასათვლედი არ იქნება.

„ტელნის გაზეთში“ იწერებოდა ლონდონიდან 6 მარტს:

„ამბობენ, რომ თ. ბისმარკი ძალიან ცდილობს, რომ რუსეთსა და ინგლისს შუა მოსპოს ყოველგვარი უკმაყოფილება და ამ ნაირად ომი ააცილოს ამათ თავიდანაო.

„რუსეთი ამბობს თურმე ახლა, რომ ინგლისის მოთხოვნებიდან სრულიად დაკმაყოფილებული უნდა იყოს, რადგან მორიგების პირობა ყველა სახელმწიფოებს თითოეულად წარუდგინეთო. მაგრამ ინგლისი მაინც კიდევ თავისას არ იშლის, ის თხოულობს, რომ ინგლისმა ფორმალურად წარუდგინოს ეს მორიგების პირობა კანგრესს, რომელსაც უფლება ექნება მინიჭებულიო, რომ შეცვალოს, თუ საჭიროთ დაინახავს, ზო-

გიერთი იმის მუხლები და მერე დაამტკიცოსო.

თავად ბისმარკი ურჩევს თურმე ყველა სახელმწიფოებს, რომ კონგრესის გახსნამდინ შეიკრიბნენ მეროპის სახელმწიფოების წარმომადგენელნი, ამ კრებაზედ გადაწყვიტონ, თუ რა-და-რა მუხლები რუსეთისა და ინგლისის მორიგების პირობისა შეეხება მეროპის ინტერესებს და რომელი მუხლები უნდა გადახედოს კონგრესმა. ამ საშუალებით ჰსურს, როგორც ამბობენ, თ. ბისმარკს რუსეთისა და ინგლისის მორიგება.

შარსელი კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა გვაცნობებს, რომ მარტის დამდეგს შარსიდან ორმოც-და-ათი ინგლისელი ექიმი გაუგზავნიათ პარზუში იქაური ავთიმყოფების (ოსმალების) მოსავლედად. წითელი ჯვრის საზოგადოებას სხვა-და-სხვა წამლები, საცვალი და სხვა საჭირო ნივთები გაუტანევია ამ ექიმებისათვის.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ პარზუში ამჟამად 10,000 ავთიმყოფი სწევს; მომეტებული ნაწილი სახადით არიან ავთაო.

## ნარეკი

### ატოცის თვალი

ბორის მაზრაში არის სოფელი ატოცი და აქ საყდარი, სახელწოდებული „ატოცის წმინდა ბიორგი“. ამ საყდარის ძალა და სასწაულო-მოქმედება გავარდნილია მთელ ქართლში. იქ ათასობით იკრიბება მლოცავეები.

რული მოვალენი არიან რალაც საიდუმლო კანონის ძალით „დაიპირონ“.

აი, ესთქვათ, მოვიდა გიორგობა, მთავარ-ანგლოზობა, ან სხვა რომელიმე წმინდანის დღე. ის სოფელი, რომელშიაც არის წმ. ბიორგის, ან მთავარ-ანგლოზის ეკლესია, შეუდგა სადილის გამართვას: ჰყიდულობს, თუ შინ არა აქვს, პურს, ღვინოს, საკლავს, „ხორავს“. შეიქნა ერთი პატიჟილობა სტუმრებისა, მისვლა-მოსვლა, გაგზავნა-გამოგზავნა, ფაცი-ფუცი, ხრინცელი.

— ღვინობას არ მიღიხარ, ქალო?

— მა! მწყევლი, რატომაც არ მივდივარ!

— იასე, წავიდეთ ღვინობას ბიჭოვ! იქნება ერთი სადილი გამოვიგდოთ!

— მაი, თუ არავინ დაგვაპატიჟოს და!

— შენ ღარილ ნუ გაქვს! საცა მე, შენც იქ, შენ რა გინდა?

— მაშ თუ წამუალ შენი იმედით, თორე იქ მე ვერავინ ვერ მიცნობს!

— ჰო, წამოდი და თუ შენ უსადილო დაგტოვო, თუთი შენს კაცობასათქო, მითხარ!

აი შეიკრიბნენ საყდარზედ. თითოეული სიმდაბლით თავს უკრავს ღვინობის მჭერელს: „როგორ-რა ბრძანდები? სახლობით, შეიღებით? (ართმევს ხელს). — მშალობ! დღეს სადილათ ჩემთან

მოხდანი, თუ გიყვარდ.

— ბახლებით, შენი ჭირიმე, მაგრამ ეს ერთი უცხო კაცი მახლავს და...

— მეც წამაიყვანე! თუნდა სხვაც ათი!

— მაღლობელი ვარ, შენი ჭირიმე! ბიახლებით!

შეიკრიბნენ მასპინძლისას სტუმრები. ბაშალეს სუფრა. „მაჯოჯგინდენ“ სუფრაზედ სტუმრები და ეჯიბრებიან ერთმანერთს; — აბა ვის კუჭში მეტი ჩაეტევა, რომლის უფრო მომწონებელიაო, — თითქო უნდათ დამტკიცონ. ცუდ გუნებაზედ მყოფ მასპინძელს მოაქვს ჯამები და „ძიხეები“ და ცდილობს არ დაეტყოს შეუბლზედ მოღრუბლეა, რომ „არ ჰამოს სირცხვილი“ სტუმრებთან!

აი, ბოლოს, როგორც ეყო, გამწარდა ტკბილი ღვინო, წავიდნენ დაღეულები „ძინძიბარისკენ“ და წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავიანთ ბინაზედ.

მასპინძელი იყრის წინ კენჭებს და ანგარიშობს:

— 5 ჩაფი ღვინო, ამ ძვირობაში ჩაფი სამ მანათათ—15 მანეთ-; ორმოც სტუმარს ორმოცი პური 2 მან., ეს... ხუთმე.. თექვსმე.. ჩვიდმეტი მანათი; ერთი ცხვარი—5 მ., ჩვიდმე... ოცი.. ოზდა ორი მანათი; ერთი ღორი—3 მ., ოზდა ხუთი მან. ეგ არი! ოზდა ხუთი

მანათი! ჰმ! დაიქცეს ამ დღეობის მომგონი, კაი ადამი ეგ არ იყვას!

ამან მარტო თავისი ხარჯი იანგარიშა და ეხლა, მკითხველო, მე და შენ მთელი სოფლის ხარჯი გავიგოთ; მაგრამ ასე უხვად კი ნუ ჩავაგდებთ, იქნება ზოგს არ შეეძლო და ნაკლები ხარჯი გასწია.

ს. ალ—ში არის 300 კომლი. ამათში, ესთქვათ, 200-მა იდღეობა, ერთ ოჯახში დაიხარჯა 3 ჩაფი ორ-ორ მანათიანი ღვინო—6 მ., პური—1 მ., შეჭამადი—3 მ., სულ 10 მ. ეს ერთ ოჯახში და ორას ოჯახში ორასჯერ მიტი, ანუ 2,000 მანათი.

ჰმ! ორი ათასი მანეთი! ნწუ, ნწუ, ნწუ! მერე რა ნაკლებათ ვიანგარიშეთ! ზოგ-ზოგი რომ მზარეულებს სამ-სამ მანეთიანს მიაკრავს შუბლზედ და ხარს, ან ძროხას წამოაქცევს, ისიც რო გვეანგარიშა?

რაში წავიდა ეს ორასი თუმანი? მართლეს—კუჭში! სტუმრების გაძღომაში!

რამდენ სასარგებლო, საუკუნოდ სასარგებლო, საშვილი-შვილო, სასწოვარ ქველ-საქმეს გააკეთებდი ისევ სოფლისათვის, ორასის მაგივრათ, რამოდენიმე წელიწადში, ას-ასო თუმანო! მხლა კი რაში მიღიხარ და როგორ უანგარიშოთ! აფსუს! აფსუს!



ამბობენ, რომ ამ საყდრის ტრაპეზზედ პატარა ყუთში ძვეს კირგა მოზდილი კაკლის ოდენა თვალი. „არავინ იცის, რა თვალია, ამბობენ, ნატერის თვალიაო, მაგრამ ვერავის ვერ გაუბენია ხელის ხლება გასასინჯათ.“

— საიღამ გაჩნდა ეს თვალი აქ? ხალხის გარდმოცემით, ერთხელ ჩამოვიდა მალლიდამ გველ-ვეშაპი შემოერთყა ამ საყდრის გარშემო, კუდი პირში დაიჭირა და ამნაირად დაჰყო კარგა ხანს. ხალხი მოემწყვდა საყდარში. მერც შედიოდნენ, ევლარც გამოდიოდნენ საყდრიდამ შიშით.

შვიდი დღე-ღამე გაგრძელთა ეს მოვლენა. ბოლოს გაიხდა გველ-ვეშაპმა ძველი პერანგი, დაადო საყდრის გალავანში, თითონ წამოაგდო პირიდან ეს თვალი, მიართო ატოცის წმინდა ზიორგის საყდარს და ერთი ჭექა-ქუხილით, საშინელის ხმაურობით წავიდა „ზემოთკენ“.

ტყავი დაწყეს ხუთ ურემზედ და გაღაზიდეს შორს.

ეს თვალი დარჩა აქ მას აქეთ. იმ წელიწადს ისეთი საანდაზო მოსავალი იყო, რომ გასქდა სულყოველად.

— ძიღვე მოწყალეებით მოსულა ი წყეული, თორე გველვეშაპი რომარისხვანეთ ჩამოვიდესო, მთელ ხუთ-ექვს სოფელს დაანგრევსო, იტყვიან! —ა—

## განცხადებანი

### თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა (შპრავა) ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით 24 მარტს იქნება მხოლოდ ერთხელ ეაქრობა იმ საქალაქო მამულის იჯარით მიცემაზედ, რომელიც მდებარეებს ქალაქის წრეს გარეთ ნავთლულში იქ, საცა ახლად აშენებენ პირუტყვის საკლავ სადგომსა, და რომელიც შეიცავს 100 (ას) ოთხ-კუთხ საყენს. ეს აღვლილი მოთავსებული ადგილია სამიკიტნოსათვის ანუ სხვა რომელამე ღუქნისათვის.

(3-3)

### თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა (შპრავა) ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით 24-ს ამ მარტს დანიშნულია ეაქრობა (მხოლოდ ერთხელ) იჯარით მიცემაზედ იმ ქალაქის მამულიც, რომელიც ნავთლულში მდებარეებს და რომელიც შეიცავს 194 დესიატინას და 100 ოთხ-კუთხ საყენსა. ეს მამული საბალახო ადგილია.

(3-3)

## ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ეაქრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამუშავებული ყოველგვარი ტყავი წალავისთვის, უნაზიკისა, კარბის და ფაბრიკებისა, ჩამაგებისა ლანჩა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუყვეთოს და გაუყუთებენ. წვირილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მალაზიაში, სიონის პირდაპირ.

(25-8)

### მუთაისში

#### ანტონ ლორთქიფანიძის მიერ

#### თეაზი დსუძეშვილის მიერ

- 1) დედა მნა, ი ზოგება შეილისა, ფასი 45
  - 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა მრ. რჩელობისა ფასი 20 კ.
  - 3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კამელია ალ. თუთავეისა, ფასი 30 კაპ.
  - 4) მუხმის ტყალსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
  - 5) მუხუ ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.
- და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

აბრაშუმის ჰიის თასლი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, სალი ისყიდება ქაშპასიის სამუშაო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირდაპირ).

ფასი თითო მისხლისა ქაშპის შაური მართს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

### გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კამელია ალ. თუთავეისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს. ჰიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით შეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუნის ჯუჭეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ მჰანეზოვთან და სვ. სერვაძესთან შოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. მატაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავტორთან.

| რ.პ. გ.ზ.ა.  | დ.ი.ა. | ს.ა.დ.ა. | II კ. | III კ. | ტელეგრაფი                                                | მ. კაპ. | გაზანდა                 | თფილისის სამაჟრანალო                      |
|--------------|--------|----------|-------|--------|----------------------------------------------------------|---------|-------------------------|-------------------------------------------|
| თფილისი .    | 9 21   | 5 18     |       |        | მ.ცი სიტყვა თფილისიდან:                                  |         | თფილისი, 22 მარტი.      | მრეწვის მაღანაზე, წინამძღვროვის სახლებში. |
| მცხეთა . .   | 10 11  | 6 27     | 68    | 38     | ჭუთაისს, შოთს . . .                                      | 1 —     | შქე. თეთ. ბაზჯისა, ფთ.  | 170                                       |
| ზორი . . .   | 11 58  | 9 43     | 2 40  | 1 33   | ბორს, ღუშეთს, სიღნაღს                                    | 50      | შქვილი წითელი . . .     | 160                                       |
| ხაშური . .   | 1 29   | 11 57    | 3 92  | 2 18   | როსტოვს, მდებსას, მოსკოვს                                | 2 —     | მერი ფუთი . . .         | 140                                       |
| სურამი . .   | 1 44   |          | 4 42  | 2 46   | პეტერბურგს, შარშავას . .                                 | 2 —     | ბაშა მრეწვისა, ფუთი . . | 750                                       |
| შვირილა .    | 5 49   |          | 5 81  | 3 23   | მსმალეთში, შვეიცარიაში                                   | 3 —     | — ამერიკისა, ფუთი . .   | 850                                       |
| რიონი . . .  | 6 47   |          | 6 75  | 3 75   | იტალიაში და საფრანგეთში                                  | 3 50    | ბაჟენტლი ბაშა ფუთი . .  | 10 —                                      |
| სამტრედია .  | 7 41   |          | 7 73  | 4 29   | ინგლისში . . . . .                                       | 3 75    | მატული თუშური ფთ.       | 820                                       |
| აბ.სენაკი .  | —      |          | 8 57  | 4 76   | ფოშტა                                                    |         | — თარაქაშისა ფთ.        | 430                                       |
| შოთი . . .   | 9 40   |          | 9 75  | 5 42   | ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე |         | პბრეშუმი ნუბური სტ.     | 2 —                                       |
| შოთი . . .   | 9 13   |          |       |        | კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.                        |         | მონი, ფუთი . . .        | 550                                       |
| აბ.სენაკი .  | —      |          | 1 18  | 66     | მზურ. — პარასკ. და ორშ. ქაშეთს—                          |         | შონის სანთელი ფუთი .    | 8 —                                       |
| სამტრედია .  | 11 16  |          | 2 6   | 1 14   | სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:                             |         | სტეპარინის სანთელი, ფ.  | 1280                                      |
| რიონი . . .  | 12 13  |          | 3 4   | 1 69   | თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ                             |         | ხორცი ძროხისა, ლიტ.     | 18                                        |
| შვირილა . .  | 1 18   | დამე     | 3 98  | 2 21   | დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—                             |         | — ცხვრისა, ლიტოა . .    | 18                                        |
| სურამი . . . | 5 12   | 110      | 5 33  | 2 96   | ორშ. და პარასკ.                                          |         | სპირტი, ვედრო . . .     | 560                                       |
| ხაშური . .   | 5 39   | 137      | 5 84  | 3 24   | წიგნის გაგზავნა რუსეთში                                  | კაპ.    | შაქარი, ბოლც. ფუთი .    | 8 —                                       |
| ზორი . . .   | 7 5    | 4 8      | 3 6   | 4 9    | და სამზღვარ გარეთ:                                       |         | — ფხვნილი ფუთი . .      | 650                                       |
| მცხეთა . . . | 8 50   | 6 59     | 9 8   | 5 4    | ლია წიგნის . . . . .                                     | 4       | შავა გოგიალი, გირვ. .   | 70                                        |
| თფილისი .    | 9 31   | 7 56     | 9 75  | 5 42   | დაბეჭდილის (სამი მისხალი) .                              | 8       | ზეთი ქუწიჯუთისა ფუთ.    | 12 —                                      |
|              |        |          |       |        |                                                          |         | თამაქო, საშუალო ფუთი    | 795                                       |